საქართველოს კანონმდებლობა იძლევა ზოგად სამართლებრივ ჩარჩოს, თუ როგორ უნდა გახდეს საჯარო გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაცია; თუმცა მასში გათვალისწინებული არაა რაიმე კონკრეტული მოთხოვნები დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების და მათი ჩართულობის პროცესის ფორმატისა ან ორგანიზებისადმი.

საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ითვალისწინებს ადამიანის უფლებას მიიღოს დროულად მიიღოს სრული და მიუკერძოებელი ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ. პროექტის მომზადების პროცესში მოსახლეობის ჩართულობას არეგულირებს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“. კანონში მოცემულია იმ საქმიანობის ჩამონათვალი, რომელიც ექვემდებარება გზმ-ის პროცედურას. კანონის მე-6 და მე-7 მუხლების თანახმად, პროექტის განმახორციელებელი ვალდებულია მოამზადოს გზმ-ს ანგარიში და უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა პროცესში, რაც ცენტრალურსა და ადგილობრივი პრესაში შესაბამისი განცხადების გამოქვეყნების საშუალებით ხდება. აღნიშნული კანონი ამბობს, რომ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვების პროცედურის აუცილებელი ნაწილია მოსახლეობის ჩართულობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ამისი უზრუნველყოფა ხდება დაგეგმილი პროექტის საჯაროდ განხილვით. განხილვაში მონაწილეობს ინვესტორი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და ადგილობრივი ხელისუფლება.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ნებართვის მოპოვების/გაცემის პროცედურა, მ.შ. გზმ-ის კოორდინირება, ასევე ინფორმაციის გამოქვეყნებისა და განხილვის ვადების დადგენა მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

1. საქმიანობის განმახორციელებელი ცენტრალურსა და რეგიონულ გაზეთებში აქვეყნებს ინფორმაციას საქმიანობის შესახებ (ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს საქმიანობის

განხორციელების რეგიონში მაინც): განცხადება უნდა მოიცავდეს პროექტის დასახელებას, ადგილმდებარეობას და ვადებს.

2. გაზეთში განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში საქმიანობის განმახორციელებელმა ადმინისტრაციულ ორგანოებში უნდა წარადგინოს გზშ-ს ანგარიში (როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ვერსია). ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის შემდეგ საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა განიხილოს შემოსული კომენტარები. ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არა უადრეს 50 დღისა და არა უგვიანეს 60 დღისა მან ორგანიზება უნდა გაუკეთოს საჯარო განხილვის პროცესს. ერთი შეხვედრა მაინც უნდა მოეწყოს საქმიანობის განხორციელების ადგილის ადგილობრივი ადმინისტრაციულ ცენტრში. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია შეხვედრიდან ხუთი დღის ვადაში წარადგინოს შეხვედრის მონაწილე უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი ოქმები.
3. ყველა მიღებული კომენტარი განხილული და შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ს ანგარიშის საბოლოო ვერსიაში. როცა გზშ-ს ანგარიშის საბოლოო ვერსიაში ვერ ხერხდება რაიმე კომენტარის გათვალისწინება, საქმიანობის განმახორციელებელმა კომენტარის ავტორ(ებ)ს წერილობით უნდა აცნობოს შესაბამისი არგუმენტაცია. ამის შემდგომ აღნიშნული წერილები, შეხვედრების ოქმები და გზშ-ს ანგარიშის საბოლოო ვერსია განსახილველად წარედგინება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (მშენებლობის ნებართვის საჭიროების შემთხვევაში წარდგენა ხდება სათანადო ორგანოში). დოკუმენტაციაში მოცემული უნდა იყოს ადგილმდებარეობის რუქა, მოსალოდნელი ემისიების მოცულობა და ტიპები, არატექნიკური რეზიუმე, ტექნიკური რეზიუმე, რომელშიც აღწერილია დაგეგმილი საქმიანობა და განცხადება პროექტის კონფიდენციალურობის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში).

კონსულტაციები სავალდებულო არაა მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზებზე. საჯარო განხილვა იმართება გზშ-ს თავდაპირველი ვარიანტის მომზადების შემდეგ. არ არსებობს ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებების (მაგ, ბროშურების ან სხვა ვიზუალური საშუალებების, რადიოსა და ტელევიზიის) გამოყენების მოთხოვნა. მოთხოვნები არ არსებობს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს სავარაუდო დაინტერესებული მხარეები (მ.შ. მოწყვლადი ჯგუფები) და როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი მათი ჩართულობა (როგორც აღინიშნა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებით საზოგადოებასთან კონსულტაციები ჩატარებული იქნა 2011 წელს).

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილდა 2011 და 2012 წლებში, როდესაც 2011 წლის წინასწარი გზშ საჯარო გახდა საზოგადოებრივი განხილვისათვის.

5.2. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა - EBRD-ს პოლიტიკის მაგალითით

პროექტში გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მოთხოვნები ინფორმაციის საჯაროობისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობისადმი. ქვემოთ მოყვანილია ერთერთი ასეთი ორგანიზაციის, კერძოდ EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის (2008) მოთხოვნები, კერძოდ: მოთხოვნა პროექტების განხორციელებისადმი PR10 - „ინფორმაციის საჯაროობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა“. ამ მოთხოვნების მიხედვით, EBRD-ს კლასიფიკაციით A კატეგორიის პროექტებისთვის უნდა შემუშავდეს SEP-ი.

ამას გარდა, PR10 მოითხოვს, რომ:

- განისაზღვროს როგორც პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობა ან თემები, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები.
- ინფორმაციის საჯაროობითა და მიზანმიმართული კონსულტაციებით დაინტერესებული მხარეები სათანადოდ იყოს ჩართული იმ გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები განხილვაში, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს მათზე.
- ეფექტური ჩართულობის გზით მოხდეს დაინტერესებულ მხარეებთან კონსტრუქციული ურთიერთობის შენარჩუნება პროექტის განხორციელების მთელს პერიოდში.

კერძოდ კი, EBRD-ის მოთხოვნა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობისთვის ბსგზმ-ს ანგარიში ხელმისაწვდომი იყოს მათთვის გასაგები ფორმატით. ამას გარდა, EBRD-ი მოითხოვს, რომ ბსგზმ-ს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს გარკვეული დროის განმავლობაში. მოცემული პროექტი საჯარო განხილვამდე საზოგადოებისთვის 60 დღის განმავლობაში უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

EBRD-ი ასევე მოითხოვს, რომ მის მიერ დაფინანსებული პროექტები ითვალისწინებდეს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის (ორჰუსის კონვენცია) მიდგომებს, მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, რათა დაცული იყოს ადამიანის უფლება იცხოვროს ჯანმრთელ გარემოში.

აღნიშნული ანგარიში შემუშავდა საჯარო განხილვის და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის როგორც საქართველოს ისე საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად ასევე 2011 და 2014 წლებში დაგროვილი, პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედების და შემარბილებელი ღონისძიებების დამატებითი ინფორმაციის მოწოდებისათვის.

5.3. საზოგადოების ჩართულობასთან დაკავშირებული საერთაშორისო დოკუმენტები

ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის მოთხოვნები მოცემულია შემდეგ საერთაშორისო დოკუმენტებში:

ევროკავშირის დირექტივა 2003/4/EC (ჩაანაცვლა დირექტივა 90/313) მოსახლეობისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. მასში გათვალისწინებულია ორჰუსის კონვენციის დებულებები და მოთხოვნები გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომობის შესახებ (საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2000 წლის 11 აპრილს და იგი შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან).

6 დაგეგმილი კონსულტაციები

პროექტის ყველა ფაზაზე კომპანია „დარიალი ენერჯი“ აქტიურად ითანამშრომლებს დაინტერესებულ მხარეებთან. მშენებლობის ფაზაზე კომპანია საჯაროს გახდის საპროექტო ჰესთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაბამის კონსულტაციებსაც გამართავს. საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება ბუნებრივსა და სოციალურ გარემოზე შეფასების დოკუმენტაცია („საჯარო პაკეტი“), რათა დაინტერესებული მხარეები კონსულტაციების პროცესში ინფორმირებულნი ჩაერთონ. მოცემული SEP-ის გარდა, საჯარო პაკეტი მოიცავს:

- ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს (ბსგშშ) 2011;
- დარიალი ჰესის ზემოქმედება ყაზბეგის ნაციონალური პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაზე, 2013
- ექსპერტების რჩევას სახმელეთო ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, მიწით სარგებლობის და საკომპენსაციო ღონისძიებების შესახებ, 2013;
- ექსპერტების რჩევას წყლის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის შესახებ, 2014;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას (დმჩგ) და
- გარემოსდაცვითი და სოციალურ სამოქმედო გეგმას.

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ინფორმირებისთვის გამოყენებული იქნება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდი (www.moe.gov.ge). ინფორმაციის განახლება მოხდება რეგულარულად. მოსახლეობას მიეწოდება შემდეგი მონაცემები:

სამშენებლო სამუშაოების აღწერა და გრაფიკული მასალა, სადაც მითითებული იქნება ყოველი ტიპის სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების ვადები;

ნახაზები, სადაც ნაჩვენებია იქნება შესრულებული სამუშაოები, ასევე სამუშაოების ზეგავლენის ქვეშ მყოფი ტერიტორიები და მოცემული იქნება:

- მოსალოდნელი ზემოქმედების ტიპები და ხანგრძლივობა;
- ყოველი ტიპის ზემოქმედებისთვის გათვალისწინებული შემარბილებელი ზომები;
- საქმიანობის ზეგავლენის ქვეშ მოხვედრილი მოსახლეობის კვლევის შედეგები, ასევე ინფორმაცია სხვა მოსახლეობის ან დაინტერესებული მხარეების შესახებ;
- სამშენებლო უბნებზე მიმდინარე სამუშაოების ფოტომასალა.

ამას გარდა, მოსახლეობის (ძირითადად იმ პირების, რომელთაც არ აქვთ ინტერნეტზე წვდომა) ინფორმირებისთვის, გამოყენებული იქნება შემდეგი საკომუნიკაციო საშუალებები:

საინფორმაციო ბროშურები;

წერილები;

საინფორმაციო შეხვედრები (კომპანია „დარიალი ენერჯი“ 2014 წლის მაისიდან ყოველკვარტალურად გეგმავს დაინტერესებულ მხარეებთან ინტენსიურ შეხვედრების გამართვას. ამას გარდა, შეხვედრები გაიმართება ყოველთვის, როდესაც გახდება დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების საჭიროება. შეხვედრების შესახებ დაინტერესებულ მხარეებს წინასწარ ეცნობებათ 1 კვირით ადრე.

პრესაში (გაზეთი „რეზონანსი“, რომელიც ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის) და კომპანიის საინფორმაციო ბიულეტენში გამოქვეყნებული სტატიები;

ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოში (მუნიციპალიტეტის გამგეობა. მისამართი: დაბა სტეფანწმინდა, ალ. ყაზბეგის ქ. 1) გამოქვეყნებული განცხადება;

მოსახლეობის ოფიციალური ინფორმირება;

საინფორმაციო დაფები ადგილობრივ მუნიციპალიტეტში და სამშენებლო ადგილზე;

პროექტის ყველა საფეხურზე კომპანია „დარიალი ენერჯი“ დაინტერესებულ მხარეებს მიმდინარე ინფორმაციას მიაწვდის ინტერნეტით და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი საინფორმაციო საშუალებებით. ნაწილ 9-ში მოცემული გასაჩივრების მექანიზმი პროექტის ყველა ეტაპზე იმუშავებს.

6.1. დოკუმენტაციის გამოქვეყნება

წინამდებარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა და სხვა საჯარო გარემოსდაცვითი დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იქნება კომპანია „დარიალი ენერჯი“-ს ვებ გვერდზე (www.darialienergy.ge). ამით დაინტერესებულ მხარეებს, რომელთათვისაც ხელმისაწვდომია ინტერნეტი, საშუალება ექნებათ გაეცნონ დაგეგმილ საქმიანობას და ჩაერთონ საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცესში. ვებ-გვერდზე ასევე მოცემული იქნება საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთა საშუალებითაც დაინტერესებულ მხარეებს შეეძლება პროექტთან დაკავშირებით წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები.

ბსგზმ-ის ანგარიშის სრული ვერსიის, არატექნიკური რეზიუმეს, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმისა და დაინტერესებული მხარეთა ჩართულობის გეგმის უფასო ეგზემპლარები საზოგადოების წარმომადგენლებს შეეძლება მიიღონ შემდეგ მისამართებზე:

ნაბეჭდი ვერსია - კომპანია „დარიალი ენერჯი“-ს ადგილობრივ ოფისში, მის: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, ლარსის საბაჟო გამშვებ პუნქტთან არსებული დარიალი ჰესის სამშენებლო ბანაკი;

ნაბეჭდი ვერსია-კომპანია „დარიალი ენერჯი“-ს ცენტრალურ ოფისში, მის: საქართველო, თბილისი, ბესიკის ქ. 4, 0108;

ნაბეჭდი ვერსია - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში, მის: დაბა სტეფანწმინდა, ყაზბეგის ქ. №1;

ნაბეჭდი ვერსია - სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“-ს ოფისში, მის: ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი 17;

ნაბეჭდი ვერსია- EBRD თბილისის ოფისი- საქართველო, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 6 (მწვანე შენობა- 4-5 სართული) 0102

საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცესი უზრუნველყოფილი იქნება პროექტის დასრულებამდე და მთელი ამ დროის განმავლობაში მიიღება პროექტთან დაკავშირებული მოსაზრებები. ეს პროცესი ითვალისწინებს ბსგზმ-ის პროცესში ბუნებრივი და სოციალური გარემოს კვლევისას გაკეთებული დასკვნებისა და ანალიზის შედეგების წარდგენას საზოგადოებისთვის. ყველა ანგარიში მომზადდება ინგლისურად და ქართულად.

ანგარიშების (ბსგზმ, არატექნიკური რეზიუმე, SEP) ელექტრონული ვერსიები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სამშენებლო ფაზის დასრულებამდე. წინამდებარე SEP-ი პერიოდულად განახლდება და საზოგადოებას მისი ნახვა ვებ-გვერდზე (www.darialienergy.ge) შეეძლება.

6.2. მოსახლეობის ინფორმირება

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად გამოყენებული იქნება შემდეგი მექანიზმები: ადგილობრივი და რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციები, საგაზეთო სტატიები, გამგეობაში გამოქვეყნებული განცხადებები და სხვ.

ბსგზშ-ის პროცესის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისთვის, ასევე კონსულტაციების პროცესში მონაწილეობის უფლების საზოგადოებისთვის გასაცნობად გამოყენებული იქნება ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთები. ამას გარდა, პროექტის უშუალო გავლენის ქვეშ მყოფ გარკვეულ ჯგუფებს (იხ. ქვემოთ მოცემული დაინტერესებულ მხარეთა სია) უშუალოდ მიეწოდება ინფორმაცია პროექტის, მოსალოდნელი ზემოქმედების, დაგეგმილი შემარბილებელი ზომებისა ასევე პროექტის უკუკავშირისა და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ. ამ მიზნით კომპანია გეგმავს პერმანენტულ შეხვედრებს (ყოველკვარტალურად) პროექტის გავლენის ქვეშ მყოფ ჯგუფებთან (შეხვედრების ადგილმდებარეობისა და დროის შესახებ დაინტერესებულ მხარეებს ეცნობებათ 1 კვირით ადრე); ამას გარდა, მოსახლეობის ამ ნაწილს დაურიგდება პროექტის შინაარსი და პროექტისადმი მიძღვნილი საინფორმაციო ბიულეტენი.

ქვემოთ მოცემულ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამაში განსაზღვრულია ინფორმაციის გამოქვეყნების პროცედურები და ვადები, საჯარო ინფორმაციის ტიპი, მოცულობა და ფორმატი, გასაჩივრებისა და უკუკავშირის მექანიზმები, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები და მასზე პასუხისმგებელი პირები, ასევე ჩართულობის პროცესის მენეჯმენტისა და მონიტორინგის/ ანგარიშგების საკითხები.

ცხრილში 6.2.1. მოცემულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის შემოთავაზებული პროცესი.

ცხრილი 6.2.1. დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის შემოთავაზებული პროცესი

ფაზა	დაინტერესებული მხარე	ჩართულობის პროცედურა / მეთოდი	საჯარო ინფორმაცია და მისი ფორმატი	შენიშვნა
სკოპინგი და გზშ	<ul style="list-style-type: none"> დაინტერესებული მხარეები (იხ. დანართი A) 	<ul style="list-style-type: none"> სკოპინგთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან 	<ul style="list-style-type: none"> პროექტისა და ბსგზშ-ის კვლევის ფორმატის წარდგენა, დმატებითი კვლევები და შემარბილებელი ღონისძიებები 	ადგილმდებარეობა TBC
სამშენებლო პერიოდში, 2014 წლის მაისიდან მშენებლობის დასრულებამდე (ყოველთვი)	<ul style="list-style-type: none"> ხელისუფლების, მ.შ. ადგილობრივი ხელისუფლებისა და გარემოს დაცვის ორგანოების წარმომადგენლები 	<ul style="list-style-type: none"> ინტერვიუები შეხვედრები მონაწილეობითი პროცესი 	<ul style="list-style-type: none"> არატექნიკური რეზიუმე ტექნიკური რეზიუმე ბროშურები და საინფორმაციო ბიულეტენი პროექტის მიმდინარე ანგარიში 	ბსგზშ-ის სრული ნაბეჭდი ვერსია ხელმისაწვდომი იქნება შემოთავაზებულ მისამართებზე, ხოლო ელექტრონული ვერსია - საქართველოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე: (www.minenergy.gov.ge) და კომპანია „დარიალი ენერჯი“-ს ვებ-გვერდზე (www.darialienergy.ge)
	<ul style="list-style-type: none"> გარემოსდაცვითი და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები (ა/ო) და საინიციატივო ჯგუფები 	<ul style="list-style-type: none"> გამოკითხვები ელ. ფოსტა ტელეფონი 	<ul style="list-style-type: none"> ბროშურები არატექნიკური რეზიუმე ტექნიკური რეზიუმე 	
	<ul style="list-style-type: none"> ბიზნეს წრეები 	<ul style="list-style-type: none"> ინტერვიუები კვლევები, გამოკითხვები საჯარო შეხვედრები ელ. ფოსტა ტელეფონი 	<ul style="list-style-type: none"> ბროშურები არატექნიკური რეზიუმე ტექნიკური რეზიუმე 	
	<ul style="list-style-type: none"> პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობა. 	<ul style="list-style-type: none"> ინტერვიუები და განხილვები ფოკუს-ჯგუფებში კვლევები, გამოკითხვები საჯარო შეხვედრები 	<ul style="list-style-type: none"> ბროშურები და საინფორმაციო ბიულეტენი არატექნიკური რეზიუმე ტექნიკური რეზიუმე 	
	<ul style="list-style-type: none"> ადგილობრივი მოსახლეობა, მ.შ. მოწყვლადი ჯგუფები (მაგ. ქალები, ხანშიშესულები) 	<ul style="list-style-type: none"> ინტერვიუები კვლევები, გამოკითხვები საჯარო შეხვედრები 	<ul style="list-style-type: none"> ბროშურები არატექნიკური რეზიუმე ტექნიკური რეზიუმე 	
	<ul style="list-style-type: none"> ყველა მოწვეული დაინტერესებული მხარე 	<ul style="list-style-type: none"> საჯარო შეხვედრა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით ბსგზშ-ის თავდაპირველი ვარიანტის წარდგენის შემდეგ 		
ექსპლუატაციის ფაზაზე - ყოველი წლის ბოლო კვარტალი	<ul style="list-style-type: none"> ხელისუფლების, მ.შ. გარემოს დაცვის ორგანოების წარმომადგენლები და გარემოსდაცვითი ა/ო-ები ა/ო-ები, ბიზნეს სექტორი, ადგილობრივი მოსახლეობა, მ.შ. მოწყვლადი და სხვა ჯგუფები 	<ul style="list-style-type: none"> გასაჩივრების მექანიზმი ღია კარის დღეები პროექტის შესახებ მიმდინარე ინფორმაცია გასაჩივრების მექანიზმი 	<ul style="list-style-type: none"> უკუკავშირის ფორმატი, საჩივრის გათვალისწინებით 	

7 პროექტის დაინტერესებული მხარეები

პროექტის დაინტერესებული მხარეებია ფიზიკური პირები ან ჯგუფები:

- რომლებიც განიცდის ან შესაძლებელია განიცადოს პროექტის პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება (გავლენის ქვეშ მყოფი მხარეები);
- რომლებიც შესაძლოა დაინტერესებულნი იყვნენ პროექტით (დაინტერესებული მხარეები). ამ კატეგორიაში შედის პროექტის გავლენის ქვეშ მყოფი პირებიცა და ჯგუფებიც, ასევე ის მოსახლეობა, რომლებიც ასეთად მიიჩნევენ თავს;
- რომელთაც შეუძლია გავლენა იქონიონ პროექტის შედეგებზე ან კომპანიის საქმიანობაზე.

ამას გარდა, დაინტერესებულ მხარეთა ზოგიერთი ჯგუფისთვის შესაძლოა განისაზღვროს „დაინტერესებული მხარის უფლებამოსილი წარმომადგენელი“. უფლებამოსილ წარმომადგენელი შესაძლოა იყოს არჩეული ოფიციალური პირი, თემის არაოფიციალური ლიდერები, ფორმალური ან არაფორმალური საზოგადოებრივი ინსტიტუტების ლიდერები, უხუცესები და სხვა.

პროექტის ამ საფეხურზე, მისი ადგილმდებარეობისა და საქმიანობის გათვალისწინებით, განისაზღვრა დაინტერესებულ მხარეთა სავარაუდო ჩამონათვალი. დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრისას გათვალისწინებული იყო პროექტისა და მისი სატრანსპორტო დერეფნების ზეგავლენის გეოგრაფიული არეალი.

ძირითად დაინტერესებულ მხარეთა ვრცელ სიაში შესული იქნება პროექტის უშუალო ან ირიბი ზეგავლენის ქვეშ მყოფი შემდეგი მხარეები:

- პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ტერიტორიის მოსახლეობა, კერძოდ: დაბა სტეფანწმინდას, სოფ. გერგეთის, ცდოს და გველეთის მოსახლეობა, ასევე ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის თანამშრომლები გამოვლინდება ზეგავლენის ქვეშ მყოფ მოსახლეობაში განისაზღვრება მოწყვლადი ჯგუფები, რომლებთანაც მოეწყოება შესაბამისი კონსულტაციები;
- ქვეყნის მასშტაბით მოქმედი და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოებრივი საინიციატივო ჯგუფები;
- მუნიციპალური და სათემო ხელმძღვანელობა;
- სამინისტროები და დეპარტამენტები;
- ბიზნესის და კომერციული სექტორის წარმომადგენლები;
- დასაქმებული მხარეები, მ.შ. კონტრაქტორები (შერჩევის შემდეგ);
- სხვადასხვა სამთავრობო ინსტიტუტები.

(სრული სია, რომელშიც წარმოდგენილია სათანადო დეტალები, მოცემულია დანართში A.)

8 ვადები

საქმიანობა და შესრულების სავარაუდო ვადები:

- SEP-ისა და ბსგზშ-ს საჯარო პაკეტის გამოქვეყნება – 2014 წლის 10 იანვრიდან;
- საჯაროობის პერიოდი და გამოხმაურება ბსგზშ-ს მასალაზე – გამოქვეყნებიდან (2014 წლის 10 იანვარი) 60 დღის განმავლობაში

შეხვედრებს დაესწრება კომპანია „დარიალი ენერჯი“-ს წარმომადგენლები. ამის გარდა, შეხვედრებში შესაძლოა ჩაერთოს პოტენციური დამფინანსებლის წარმომადგენელიც.

9 რესურსები და პასუხისმგებლობა

კომპანია „დარიალი ენერჯი“ პასუხისმგებელი იქნება პროექტთან დაკავშირებულ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებზე და კონსულტაციების სათანადო დონეზე გასამართად გამოიყენებს მის ხელთ არსებულ რესურსებს.

პროექტის განხორციელების ფაზაზე ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა, შემოსულ საჩივრებზე რეაგირება, მხარეებს შორის წამოჭრილი დავების გადაჭრა და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი იქნება საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი:

სახელი: სულხან გაბრიჩიძე

- მისამართი: საქართველო, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დარიალი ჰესის სამშენებლო ბანაკი (ლარსის გამშვებ პუნქტთან);
- ტელეფონი: +9955 51 545-515


სახელი: ეკა კიკაძე

- მისამართი: საქართველო, თბილისი, ბესიკის ქ# 4, ოფისი 206
- ტელეფონი: +99532 2510-500; +9955 51 503-300
- E-mail: e.kikadze@darialienergy.ge; info@darialienergy.ge

დაინტერესებულ მხარეებთან დაკავშირებული საქმიანობა განხორციელდება კომპანიის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასთან შესაბამისობაში. საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი პასუხისმგებელი იქნება პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნებაზე, საზოგადოებასთან კონსულტაციებსა და გასაჩივრების პროცედურების მენეჯმენტზე (იხ. ნაწილი 9.1).

საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი ანგარიშვალდებული იქნება კომპანიის ხელმძღვანელობის წინაშე.

ნახაზი 9.1. პასუხისმგებლობების გადანაწილების დიაგრამა



10 გასაჩივრების მექანიზმი

10.1. შესავალი

საჩივრების მართვა, მათ შორის თავიდან აცილება, შემცირება და ეფექტურად მოგვარება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ჯანსაღი სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საჩივრების დიდი ნაწილი გაუგებრობის ნიადაგზე წარმოიქმნება და მათი უმრავლესობა შეიძლება თავიდან იქნას აცილებული მოსახლეობის აქტიური და თანმიმდევრული ჩართულობის გზით. საზოგადოების ჩართულობა შესაძლებელია გამოყენებული იქნას მოსახლეობის ინტერესების წარმოსაჩენად და მათთან დაკავშირებული საჩივრების თავიდან ასაცილებლად.

პროექტისთვის მომზადებული გასაჩივრების მექანიზმის შესაძლოა გამოყენებული იქნას:

- პროექტთან დაკავშირებული საჩივრების, შესაბამისი რისკებისა და ხარჯების შესამცირებლად;
- მოსახლეობისა და ცალკეული პირების ინტერესებისა და საჩივრების დასაკმაყოფილებლად, ვიდრე სიტუაცია უმართავი გახდება;
- კომპანიის რეპუტაციის ასამაღლებლად და მისი საქმიანობისადმი საზოგადოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

ბუნებრივსა და სოციალურ გარემოზე პოტენციური ზემოქმედების სამართავად (თავიდან ასაცილებლად, შესარბილებლად ან კომპენსირებისთვის), მომზადდება გეგმები, რომლებიც გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის ნაწილი იქნება და საჯარო პაკეტში შევა.

გასაჩივრების მექანიზმი შემუშავებული იქნა იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანია „დარიალი ენერჯი“-ს ჰქონდეს ინფორმაცია ბუნებრივ თუ სოციალურ გარემოზე გაუთვალისწინებელი ზემოქმედების შესახებ და შესძლოს მათი მართვა ან კომპენსირება. ეს ასპექტი აღწერილია ქვემოთ შემდგომ ნაწილში.

10.2. პროცედურა

კომპანია „დარიალი ენერჯი“-მ საზოგადოებრივი საჩივრების მიღების რამდენიმე მეთოდი შეიმუშავა. მაგალითად:

- ვებ-გვერდი - www.darialienergy.ge;
- საჩივრების ყუთის განთავსება ადგილობრივი ოფისის მიმდებში - მისამართი: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, ლარსის საბაჟო გამშვებ პუნქტთან არსებული დარიალი ჰესის სამშენებლო ბანაკი;
- სატელეფონო „ცხელი ხაზი“ - +99532 2510-500;
- გასაჩივრების ბუკლეტი, რომელსაც დართული აქვს საჩივრების ფორმა (იხ. დანართი C).

ბუკლეტები გამოქვეყნდება სს „დარიალი ენერჯი“-ს ვებ-გვერდზე, ასევე ხელმისაწვდომი იქნება ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში და საზოგადოებასთან დაგეგმილი შეხვედრების ადგილებში (შეხვედრების გრაფიკი იხ. დანართში B).

მოსახლეობიდან მიღებული ნებისმიერი საჩივარი გაივლის რამდენიმე საფეხურს (დაწვრილებით იხ. დანართში C). როცა ეს შესაძლებელია, მოთხოვნა ან საჩივარი დაკმაყოფილებული იქნება ხუთი ან ათი სამუშაო დღის ვადაში; რეაგირების ვადა დამოკიდებული იქნება მოთხოვნილი ინფორმაციის ან მიღებული საჩივრის სირთულეზე.

ყველა საჩივარი დარეგისტრირდება საჩივრების ჟურნალში, სადაც მას მიენიჭება ნომერი. ეს პროცედურა უზრუნველყოფს თანმიმდევრულ მონიტორინგს და სათანადო მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარების საწინდარია. ჟურნალი გამოყენებული იქნება საჩივრების სიხშირის,

ასევე მათი თემატიკისა და განმეორებადობის ტენდენციების გასაანალიზებლად. ჟურნალში ჩაიწერება შემდეგი ინფორმაცია:

- საჩივრის მიღების თარიღი;
- საკონტაქტო ტელეფონი;
- საჩივრის შინაარსი;
- პრობლემის გადაჭრაზე პასუხისმგებელი მხარე;
- საკითხის შესწავლის დაწყებისა და დასრულების თარიღები;
- შესწავლის შედეგები;
- მაკორექტირებელი ღონისძიებების შესახებ მომჩივანისთვის გაგზავნილი ინფორმაცია (როცა საჩივარი ანონიმური არაა) და პასუხის გაგზავნის თარიღი. საჩივრის დახურვის თარიღი;
- მომჩივანის დასტური, რომ კმაყოფილია შედეგით, ან მიზეზი თუ რატომ არ გადაიჭრა პრობლემა;
- დაუკმაყოფილებელ საჩივრებთან დაკავშირებული შეუსრულებელი ქმედებები.

საჩივრებს/ჩივილებს ახარისხებს და მათზე რეაგირების კოორდინირებას ახდენს მოსახლეობასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი. ყველა საჩივარი ინახება ორი წლის განმავლობაში და შემდგომ არქივდება.

როცა საჩივარზე რეაგირება შეუძლებელია ზემოთ მოცემულ ვადებში, კომპანია „დარიალი ენერჯი“ მომჩივანს აცნობებს ამის შესახებ; საკითხის შესწავლის დასრულებისთანავე კი უკავშირდება მომჩივანს, რათა მასთან ერთად განიხილოს იგი და შეთანხმდნენ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

კომპანიამ შესაძლოა დააწესოს შემდგომი მონიტორინგი, რათა მსგავსი პრობლემა არ განმეორდეს.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია ჩართული იქნება პროექტის განხორციელებაში, კომპანია „დარიალი ენერჯი“ -ს საჩივრების მენეჯმენტის მექანიზმი და თავად მოგვარებული საჩივრები ექვემდებარება ამ ორგანიზაციის მხრიდან მონიტორინგს.

მომჩივან პირებს შეუძლიათ კონფიდენციალურობა დაიცვან (დაწვრილებით იხ. დანართში C). კომპანია „დარიალი ენერჯი“ უზრუნველყოფს მომჩივანის სახელისა და საკონტაქტო ინფორმაციის კონფიდენციალურობას და ეს ინფორმაცია მხოლოდ საჩივრის უშუალო შემსწავლელ გუნდს ექნება. თუ საჩივრის შესასწავლად და გადასაწყვეტად აუცილებელი გახდება რაიმე ინფორმაციის გადაცემა მესამე მხარისთვის (მაგ, თუ დადგინდა, რომ საჩივარი უკავშირდება კონტრაქტორის ქმედებას), ამაზე მომჩივანის თანხმობის მიღება იქნება საჭირო. თუ საჩივარზე მომუშავე გუნდი მომჩივანზე ინფორმაციის გაუცემლად ვერ ახერხებს საკითხის შესწავლას (მაგ, თუ ეს ინფორმაცია საჭიროა სასამართლოში ჩვენების მისაცემად), საჩივრის შემსწავლელმა გუნდმა მომჩივანთან ერთად უნდა განიხილოს შემდგომი ქმედებები. პროცედურა უშვებს ანონიმურ საჩივრებსაც. საჩივარი ასეთ შემთხვევაშიც იქნება შესწავლილი, თუმცა კომპანია „დარიალი ენერჯი“ ვერ შესძლებს შედეგებთან დაკავშირებით პასუხი გასცეს მომჩივანს.

აღწერილი პროცედურები ძალაში შევა საჯარო პაკეტის გამოქვეყნებისთანავე. პროცედურების გრაფიკული გამოსახულება ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.

მონიტორინგის ანგარიშები ასევე წარედგინება საჯაროდ წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, და მინიმუმ ყოველწლიურად პროექტის გარემოს და სოციალურ მოქმედების და შეთანხმებული სამოქმედო გეგმების განხორციელებაზე.

12 საკონტაქტო ინფორმაცია საზოგადოებისთვის

კომპანია „დარიალი ენერჯი“-ს ოფისი:

საკონტაქტო პირი: ეკა კიკაძე - კომპანია „დარიალი ენერჯი“-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

- მისამართი: საქართველო, თბილისი, ბესიკის ქ# 4, ოფისი 206;
- ტელ: +99532 2510-500; +9955 51 503-300 ელ. ფოსტა: e.kikadze@darialienergy.ge;

სახელი: სულხან გაბრიჩიძე

- მისამართი: საქართველო, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დარიალი ჰესის სამშენებლო ბანაკი (ლარსის გამშვებ პუნქტთან);
- ტელეფონი: +9955 51 545-515

13 დანართი A. დაინტერესებულ მხარეთა ჩამონათვალი
პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობა

<i>ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის გავლენის ზონაში არსებული დასახლებული პუნქტები</i>
დაბა სტეფანწმინდა და სოფ. გერგეთი სოფ. ცდო სოფ. გველეთი ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი მთავარანგელოზთა სახელობის სამონასტრო კომპლექსი

დაინტერესებული მხარეები

დასახელება	საკონტაქტო ინფორმაცია
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველო, თბილისი, 0108, ჭავჭავაძის 12 ტელ: +(99532) 991088; ფაქსი: +(99532) 9218 45 ელ.ფოსტა: ministry@economy.ge www.economy.ge
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველო, 0119 თბილისი. აკ. წერეთლის გამზ. 144: ტელეფონი: (+995 32) 144307 სამინისტროს ცხელი ხაზი: (+995 32) 94 49 11 (+995 32) 94 34 98 ელ-ფოსტა: press@moh.gov.ge info@moh.gov.ge http://www.moh.gov.ge
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	თბილისი, 0114, გულუას 6 ტელ: (+99532) 727224/34; ფაქსი: (+995 32) 72 72 34; ელ.ფოსტა: press@moe.gov.ge http://www.garemo.itdc.ge
საქართველო ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	თბილისი, გულუას ქ. N6; ტელ: (+995 32) 2357800 ფაქს: (+995 32) 2357828 ელ. ფოსტა: mail@minenergy.gov.ge ვებ. გვერდი: http://www.minenergy.gov.ge
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	გამგებელი შალვა ელოშვილი დაბა სტეფანწმინდა, ალ. ყაზბეგის ქ. 1. ტელ: 8-245-5-24-89 ვებ. გვერდი: http://mtskheta-mtianeti.gov.ge/yazbegi.html
კონტრაქტორები, ქვე-კონტრაქტორები	ამ ეტაპზე კონტრაქტორები / ქვე-კონტრაქტორები შერჩეული არ არის
მცირე ბიზნესის წარმომადგენლები	დაწვრილებითი ინფორმაცია მოძიებული და SEP-ში შეტანილი იქნება მოგვიანებით
მომწოდებლები/ ბიზნეს პარტნიორები	უნდა განისაზღვროს. ინფორმაცია შეტანილი იქნება SEP-ში
კომპანია „დარიალ ენერჯი“-ს თანამშრომლები	
არასამთავრობო ორგანიზაციები	ა/ო საქართველოს მწვანეთა მოძრაობა http://www.greenalt.org ა/ო „მწვანე ალტერნატივა“ http://www.greens.ge ა/ო „მთისა და ბარის კავშირი“ ა/ო „სტეფანწმინდა“, შოთა ბუჭუკური 599 321 170 eco_shot@yahoo.com

14 დანართი B. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გრაფიკი

SEP-ისა და საჯარო პაკეტის გამოქვეყნება იგეგმება 2014 წლის 10 იანვრიდან. დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები გაიმართება მშენებლობის ფაზაზე ყოველკვარტალურად. ამას გარდა, შეხვედრები გაიმართება ყოველთვის, როდესაც გახდება დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების საჭიროება. შეხვედრების შესახებ დაინტერესებულ მხარეებს წინასწარ ეცნობებათ 1 კვირით ადრე.

15 დანართი C. გასაჩივრების ბროშურა მოსახლეობისთვის

კომპანია „დარიალი ენერჯი“ ყველა ღონეს ხმარობს, რათა ჰქვას მშენებლობამ და ექსპლუატაციამ პრობლემები არ შეუქმნას პროექტის ტერიტორიის მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობას, ან პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ რომელიმე დაინტერესებულ მხარეს. ამასთან გვსურს, რომ ჩვენამდე მოვიდეს პროექტის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა ან საჩივარი.

რა სახის საჩივრების წარდგენა შემიძლია?

საჩივრის წარდგენა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც ფიქრობს, რომ პროექტის საქმიანობამ უარყოფითად იმოქმედა მასზე, მის დასახლებაზე ან ადგილობრივ გარემოზე. საჩივარი შეიძლება ეხებოდეს:

- ფიზიკური და ეკონომიკური განსახლების საკითხებს;
- ადგილობრივ მოსახლეობაზე უარყოფით ზემოქმედებას (მაგ, ჭარბი მტვერი, ხმაური, სუნი და სხვა);
- კერძო ან საზოგადოებრივი საკუთრების ან ქონების დაზიანებას;
- პროექტის საქმიანობით გამოწვეულ გარემოზე ზემოქმედებას;
- საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის მუშახელის და/ან მოსახლეობის ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას და უშიშროებას;
- პროექტის მუშახელის უფლებების დარღვევას.

როგორ შემიძლია საჩივრის წარდგენა?

კომპანიაში „დარიალი ენერჯი“ საჩივრის წარდგენა შეიძლება:

ტელეფონით: ეკა კიკაძე - +99532 2510-500; +9955 51 503-300
ელ. ფოსტით: e.kikadze@darialienergy.ge; info@darialienergy.ge
პირადად: ეკა კიკაძე, ქ. თბილისი, ბესიკის ქ# 4, ოფისი 206

შესაძლებელია თანდართული საჩივრის ფორმის შევსება და გაგზავნა ან მიტანა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბესიკის ქ# 4, ოფისი 206.

სახელი: სულხან გაბრიჩიძე

- მისამართი: საქართველო, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დარიალი ჰესის სამშენებლო ბანაკი (ლარსის გამშვებ პუნქტთან);
- ტელეფონი: +9955 51 545-515

რა რეაგირებას მოახდენს კომპანია „დარიალი ენერჯი“ ჩემს საჩივარზე?

თქვენი საჩივარი გაივლის შემდეგ საფეხურებს:

საფეხური 1: დადასტურება: კომპანია „დარიალი ენერჯი“ დაგიკავშირდებათ, რათა დაგიდასტუროთ საჩივრის მიღება, რომელსაც შეძლებისდაგვარად შემდეგ ვადებში განიხილავს:

ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში - 5-10 სამუშაო დღის განმავლობაში.

სიტყვიერ საჩივარს - მაშინათვე, ხოლო წერილობით - 5-10 სამუშაო დღის განმავლობაში.

დადასტურებისას თქვენ გაცნობებენ თქვენი საჩივრის საიდენტიფიკაციო ნომერს, თქვენს საჩივარზე პასუხისმგებელ პირსა და მის საკონტაქტო ინფორმაციას, ასევე თქვენი საჩივრის შესწავლის სავარაუდო ვადას.

საფეხური 2: შესწავლა: კომპანია „დარიალი ენერჯი“ შეისწავლის თქვენს საჩივარს. შესწავლის პროცესში შესაძლოა დაგვჭირდეს თქვენთა დაკავშირება. კომპანია შეეცდება, რომ ეს საფეხური გაიაროს 20 სამუშაო დღეში.

საფეხური 3: მოგვარება: თქვენი საჩივრის შესწავლის შემდეგ დაგიკავშირდებით, რომ გაცნობოთ შედეგები და ჩვენი გადაწყვეტილება. თუ შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ საჩივარი არ უკავშირდება პროექტის საქმიანობას, ან თუ კომპანია „დარიალი ენერჯი“-ს საქმიანობა აკმაყოფილებს საჩივართან დაკავშირებულ საქართველოს და საერთაშორისო სტანდარტებს, ამას ინფორმაციას წერილობით გაცნობებთ. სხვა შემთხვევაში შემოგთავაზებთ თქვენი პრობლემის მოგვარების გზას. თუ ჩვენი პასუხი და გატარებული ღონისძიებები თქვენთვის დამაკმაყოფილებელი იქნება, გთხოვთ ხელი მოაწეროთ განცხადებას დაკმაყოფილების შესახებ, თუ თქვენი თანხმობაც იქნება ამაზე. თუ თქვენთვის მიუღებელია ჩვენს მიერ გატარებული ზომები, თქვენთან ერთად ვიმსჯელებთ, თუ კიდევ რა ზომების გატარება იქნება შესაძლებელი თქვენი პრობლემის მოსაგვარებლად.

საფეხური 4: მონიტორინგი: შესაძლებელია კომპანია „დარიალი ენერჯი“ მოგვიანებით დაგიკავშირდეს, რათა გადაამოწმოს რომ პროექტის საქმიანობა აღარ გიქმნით პრობლემებს.

კონფიდენციალურობა: სურვილის შესაბამისად კომპანია უზრუნველყოფს თქვენი სახელისა და საკონტაქტო ინფორმაციის კონფიდენციალურობას. ამ ინფორმაციის მიღება მხოლოდ თქვენს საჩივარზე უშუალოდ მომუშავე პირებს შეეძლებათ. თუ საჩივარზე მომუშავე გუნდი მომჩივანზე ინფორმაციის გაუცემლად ვერ ახერხებს საკითხის შესწავლას (მაგ, თუ ეს ინფორმაცია საჭიროა სასამართლოში ჩვენების მისაცემად), საჩივრის შემსწავლელმა გუნდმა მომჩივანთან ერთად უნდა განიხილოს შემდგომი ქმედებები.

ანონიმურობა: სურვილის შემთხვევაში საჩივრის წარდგენა ანონიმურადაც შეგიძლიათ. შეგიძლიათ თანდართულ ფორმაში არ შეიტანოთ თქვენი სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია. თქვენი საჩივარი მაინც განიხილება, თუმცა შესაძლოა ამან საკითხის შესწავლა გაართულოს და ამასთან, კომპანია შესწავლის შედეგებს ვერ გაცნობებთ.

საჩივრის ფორმა მოსახლეობისთვის			
საჩივრის სარეგისტრაციო ნომერი [ავსებს კომპანია „დარიალი ენერჯი“]:			
საკონტაქტო ინფორმაცია	სახელი:		
	მისამართი:		
	ტელ:		
	ელ. ფოსტა:		
როგორ გირჩევნიათ დაგვეკონტაქტონ? გთხოვთ მონიშნოთ შესაბამისი უჯრა	ფოსტით	ტელეფონით	ელ. ფოსტით
სასურველი ენა	ქართული	რუსული	ინგლისური
სახელი და პირადი მონაცემები (პირადობის მოწმობიდან) <i>ამ ინფორმაციის შევსება სავალდებულო არაა</i>			
გთხოვთ, აღწეროთ თქვენი საჩივრის შინაარსი.			
რას გვთავაზობთ თქვენი პრობლემის მოსაგვარებლად?			
როგორ შეიძლება წარადგინოთ ეს ფორმა კომპანიაში „დარიალი ენერჯი“	ფოსტით: ქ. თბილისი, ბესიკის ქ# 4, ოფისი 206		
	პირადად: ეს ფორმა მიიტანეთ ქ. თბილისი, ბესიკის ქ# 4, ოფისი 206 ასევე: სახელი: სულხან გაბრიჩიძე მისამართი: საქართველო, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დარიალი ჰესის სამშენებლო ბანაკი (ლარსის გამშვებ პუნქტთან); ტელეფონი: +9955 51 545-515		
	ელ. ფოსტით: თქვენი საჩივარი, პრობლემის გადაჭრის შესახებ თქვენი მოსაზრება და საკონტაქტო ინფორმაცია ელ. ფოსტით გადაუგზავნეთ: ეკა კიკაძეს: e.kikadze@darialienergy.ge		
ხელმოწერა		თარიღი	